

იაპონიის არასაპროექტო საგრანტო დახმარება იაპონური მცირე და საშუალო საწარმოების
პროდუქციის მოწოდების მიზნით

დაწყების თარიღი: 2014

დასრულების თარიღი: 2016

პროექტის აღწერა:

არასაპროექტო გრანტის მიზანია ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის საქართველოს მთავრობის ძალისხმევით ხელშეწყობა და სსიპ - გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან წინასწარ შეთანხმებული აღჭურვილობის შესყიდვა, რაც ხელს შეუწყობს გარემოს ეროვნული სააგენტოს შესაძლებლობების გაძლიერებას როგორც გარემოს დაბინძურების მონიტორინგის კუთხით, ისე ჰიდრომეტეოროლოგიური პროგნოზირების კუთხით. გრანტით გათვალისწინებულია იაპონური მცირე და საშუალო საწარმოების (SME) პროდუქციის შესყიდვა („იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სისტემის“ მიერ) და შესაბამისი კონტრაქტორების მიერ გარემოს ეროვნული სააგენტოსთვის მიწოდება სააგენტოს მონიტორინგის შესაძლებლობების გასაძლიერებლად, კერძოდ მოწოდებული იქნება ლაბორატორიული და საველე აღჭურვილობა. გრანტით გათვალისწინებულია იაპონური მცირე და საშუალო საწარმოების (SME) პროდუქციის შესყიდვა „იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სისტემის“ მიერ და შესაბამისი კონტრაქტორების მიერ გარემოს ეროვნული სააგენტოსთვის მიწოდება სააგენტოს მონიტორინგის შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად, კერძოდ: - 3 მონიტორინგის სადგური ქ. თბილისის ჰაერის დაბინძურების მონიტორინგისთვის; - ავტომატური საზღვაო მეტეოროლოგიური სადგური ქ. ბათუმში; - მდინარის/წყლის დონის დაკვირვების სისტემა; - ლაბორატორიული და საველე აღჭურვილობა.

პროექტის მოსალოდნელი შედეგი:

1. გაუმჯობესდება გარემოს ეროვნული სააგენტოს შესაძლებლობები საზღვაო და მეტეოროლოგიური მოვლენების მონიტორინგის კუთხით;
2. გაძლიერდება ექსტრემალური ამინდის პირობებით გამოწვეული საზღვაო სტიქიური მოვლენების ადრეული გაფრთხილების სისტემა;
3. ქ. თბილისში ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგი განხორციელდება საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად;
4. გაძლიერდება სააგენტოს გარემოს დაბინძურების მონიტორინგის ლაბორატორიული და საველე კვლევების შესაძლებლობები.

მიზნობრივი ტერიტორია: მთელს ქვეყანაში (ლაბორატორიული და საველე აღჭურვილობა), სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში - ფოთში (ავტომატური საზღვაო მეტეოროლოგიური სადგური)

სფერო: წყალი, ჰაერი, კატასტროფები

დონორი: იაპონიის მთავრობა

<http://www.mofa.go.jp/policy/oda/>

განმახორციელებელი:

ორგანიზაცია: იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სისტემა (JICS)

ტელეფონი: +81-3-5369-6960

მისამართი: Shinjuku EAST Bldg., 10-5, Tomihisa-cho, Shinjuku-ku, ტოკიო 162-0067, იაპონია

ვებ-გვერდი: http://www.jics.or.jp/jics_html-e/

საკონტაქტო პირი: შიტარა ჩიუკი

ელ-ფოსტა: shitara_chiyuki@jics.or.jp

ორგანიზაცია: სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

ტელეფონი: +995 32 243 95 00

მისამართი: დავით აღმაშენებლის გამზ. #150, თბილისი 0112, საქართველო

ვებ-გვერდი: www.nea.gov.ge

საკონტაქტო პირი: ირაკლი ჯეირანაშვილი

ელ-ფოსტა: ikajeiran@gmail.com

მაილსტონები:

1. ჰაერის დაბინძურების მონიტორინგის სამი ავტომატური სადგურის განთავსება ქ. თბილისის ტერიტორიაზე და მონაცემების შემკრები სერვერის განთავსება გარემოს ეროვნულ სააგენტოში;

2. ორი საზღვაო-მეტეოროლოგიური ავტომატური სადგურის განთავსება ქ. ფოთსა და ქ. ბათუმში;
3. წყლის დონის სადამკვირვებლო სისტემის დამონტაჟება 3 წერტილში;

ბიუჯეტი: 200 000 000 იენი